არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტსა და ქ.ახალციხის №5 საჯარო სკოლას შორის ურთიერთთანამშრომლობის

მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

ქ. ახალციხე „--01--"--03----"2012წ.

ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში „უნივერსიტეტი") წარმოდგენილი მისი რექტორის, სრული პროფესორის თინა გელაშვილის სახით და მეორეს მხრივ, ქ.ახალციხის №5 საჯარო სკოლა (შემდგომში „სკოლა") წარმოდგენილი მისი დირექტორის, ჟენია მერაბიშვილის სახით, ვდებთ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

მემორანდუმის მიზანია მასწავლებლის მომზადების დამატებითი (minor) პროგრამის ფარგლებში, უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა და ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტების სტუდენტების პრაქტიკით უზრუნველყოფა, რისთვისაც მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

1. პედაგოგიური პრაქტიკის მიმდინარეობის კონკრეტული მიმართულება განისაზღვრება შესაბამისი დარგის მიხედვით.
2. მხარეები წინასწარ შეათანხმებენ პედაგოგიური პრაქტიკის განხორციელებისათვის აუცილებელი ღონისძიებების განრიგს, რომელიც განისაზღვრება წინამდებარე მემორადუმის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებით.
3. მხარეებს უფლება აქვთ ერთმანეთს გაუწიონ ფინანსური და მატერიალური მხარდაჭერა.
4. მემორანდუმი ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.
5. მემორანდუმის მოქმედების ვადამდე შეწყვეტა შესაძლებელია ერთ-ერთი მხარის მიერ წინასწარი წერილობითი შეტყობინებით. ინიციატორმა მხარემ მემორანდუმის მოქმედების ვადამდე შეწყვეტის შესახებ მეორე მხარეს უნდა აცნობოს ერთ თვით ადრე.
6. მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.
7. მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2(ორი) ეგზემპლიარად და ინახება მხარეებთან.

ა(ა)იპ - ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ქ.ახალციხის №5 საჯარო სკოლა

რექტორი:

თინა გელაშვილი

დირექტორი:

ჟენია მერაბიშვილი

შეთანხმება ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში ცვლილებების შეტანის შესახებ

„25“ იანვარი 2016 წ.

ქ.ახალციხე

ერთის მხრივ, სსიპ სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივესიტეტი (შემდგომში „უნივერსიტეტი“) წარმოდგენილი რექტორის, პროფესორ მერაბ ბერიძის სახით და მეორეს მხრივ, ქ.ახალციხის №5 საჯარო სკოლა (შემდგომში „სკოლა“) წარმოდგენილი დირექტორის ინგა ვარდიძის სახით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – ახალქალაქის უმაღლესი საგანმანათებლო დაწესებულება – კოლეჯის რეორგანიზაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 03 ოქტომბრის №416 დადგენილების, „არასამეწარმეო(არაკომერციული)იურიდიული პირის – სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რეორგანიზაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 ივლისის №194 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რეორგანიზაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 04 აპრილის №272 დადგენილების და მხარეთა შორის 2012 წლის 01 მარტს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემურანდუმის მე-6 პუნქტის თანახმად, ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდგზე:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება მხარეთა შორის 2012 წლის 01 მარტს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემურანდუმის პრეამბულაში, მიზნის ნაწილში, მე-3 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ა) „ერთის მხრივ, სსიპ სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივესიტეტი (შემდგომში „უნივერსიტეტი“) წარმოდგენილი რექტორის, პროფესორ მერაბ ბერიძის სახით და მეორეს მხრივ, ქ.ახალციხის №5 საჯარო სკოლა (შემდგომში „სკოლა“) წარმოდგენილი დირექტორის ინგა ვარდიძის სახით, მხარეები ისწრაფვიან რა, ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცებისაკენ, მხედველობაში იღებენ საგანმანათლებლო თანამშრომლობაში ორმხრივ დაინტერესებას, მხარეთა მჭიდრო თანამშრომლობის მნიშვნელობასა და აუცილებლობას, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და მხარეთა უფლებამოსილების ფარგლებში დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე“.

ბ) „მემორანდუმის მიზანია უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დაწყებითი განათლების საბაკალავრო პროგრამის, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისა და მასწავლებლის მომზადების მაინორ პროგრამის სტუდენტების/მსმენელების პრაქტიკით უზრუნველყოფა რისთვისაც მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:“.

გ). მე-3 პუნქტი:

„ამოღებულია“.

2.შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლიარად, რომელიც წარმოადგენს მხარეთა შორის 2012 წლის 01 მარტს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს და ინახება მხარეებთან.

სსიპ სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ქ.ახალციხის №5 საჯარო სკოლა
რექტორი, პროფესორი	დირექტორი
მერაბ ბერიძე	ინგა ვარდიძე